დამტკიცებულია შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

ინტელექტ-პლიუსის დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის N62/7 ბრძანებით

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის" მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის წესი

ამ წესის მიზანია, უზრუნველყოს შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის" მოსწავლეების ინიციატივების წახალისება, ხელი შეუწყოს მათი აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებას, შესაძლებელი გახადოს მათი ფართო ჩართულობა შიდასასკოლო ცხოვრებაში და შექმნას მასტიმულირებელი გარემო არაფორმალური გამნათლების განვითარების მიმართულებით.

მუხლი 1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის" მოსწავლეების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები

1.სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არის ამ უკანასკნელთა წარმომადგენლობითი ორგანო და მათი სახელით თანამშრომლობს სკოლის ადმინისტრაციასთან.

2.მოსწავლეთა თვითმმართველობის მეშვეობით მოსწავლეს/მოსწავლეთა ჯგუფს, ასევე, სასკოლო კლუბების წევრებს/წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, სკოლის დირექციის წინაშე წარადგინონ ინიციატივა/წინადადება მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

3.მოსწავლეთა თვითმმართველობას უფლება აქვს, სკოლის დირექციას წარუდგინოს წინადადება გასამართი/ჩასატარებელი სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების/ღონისძიებების მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ.

4.მოსწავლეს/მოსწავლეთა ჯგუფს/სასკოლო კლუბს უფლება აქვს სკოლის დირექციის წინაშე დააყენოს საკითხი როგორც განსახორციელებელი სასკოლო პროექტისათვის აუცილებელი ხარჯების გაღების თაობაზე, ასევე, საგრანტო პროექტებში თანადაფინანსების(თანამონაწილეობის) მოპოვების მიზნით.

5.მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელს(თავმჯდომარეს) უფლება აქვს, გამორჩეულად აქტიური და კრეატიული მოსწავლეების აღიარებისა და წახალისების მიზნით სკოლის დირექციას წარუდგინოს წინადადებათა პაკეტი.

6.მოსწავლეთა თვითმმართველობას, ასევე, მოსწავლეთა ცალკეულ ჯგუფ უფლება აქვს დირექციას წარუდგინოს ინიციატივა სკოლაში არსებული ცალკეული სახის გამოწვევების და პრობლემატური საკითხების მოწესრიგების მიზნით და მოითხოვოს შესაბამისი რეაგირება.

7.მოსწავლეებს(ცალკეულ წევრებს/ჯგუფს) უფლება აქვს, სკოლის დირექციას მოსთხოვოს დამატებითი სახის ღონისძიების გატარება სწავლაში ჩამორჩენილი/პრობლემების მქონე მოსწავლის/მოსწავლეთა ჯგუფის მხარდაჭერის მიზნით.

8.მოსწავლეთა თვითმმართველობას სკოლის დირექციის წინაშე შეუძლია დააყენოს წინადადება, ბიუჯეტის ფორმირებისას, სასკოლო კლუბების მუშაობისათვის აუცილებელი ფინანსური სახსარის გათვალისწინების თაობაზე.

9.მოსწავლეთა ინიციატივა შესაძლებელია გადმოცემული იყოს ზეპირი ფორმით, მაგრამ ამ წესში ჩამოთვლილი უფლებამოსილების ფარგლებში წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობითი სახით.

მუხლი2. მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცედურები

1.მოსწავლის/მოსწავლეთა ჯგუფის/სასკოლო კლუბის/მოსწავლეთა თვითმმართველობის წერილობითი სახის ინიციატივები სკოლის კანცელარიაში რეგისტრირდება სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესში მოცემული პროცედურების შესაბამისად.

2.რეგისტრირებული განაცხადი განსახილველად გადაეცემა სკოლის დირექტორს.

3.სკოლის დირექცია ვალდებულია, განაცხადით წარმოდგენილ ინიციატივასთან დაკავშირებით დააფიქსიროს ოფიციალური პოზიცია, ხოლო უარის შემთხვევაში- დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

4.დირექციის გადაწყვეტილების თაობაზე ადრესატს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით.

მუხლი 3. ცვლილებების განხორციელება

1.ეს წესი შემუშავებულია სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ფართო ჩართულობისა და ინტერესების გათვალისწინებით.

2.ამ წესში ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს მოსწავლეთა თვითმმართველობის წინადადებების საფუძველზე.

3. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის" მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის წესი მტკიცდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტით, იგივე წესი გამოიყენება ცვლილებათა განხორციელების შემთხვევაში.